



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეტროლოგია

მეტროლოგია (ბერძნ. metron – ზომა და logia – მოძღვრება), მეცნიერება გაზომვების, მათი ერთიანობისა და საჭირო სიზუსტის მიღწევის მეთოდების შესახებ. მ-ის ძირითადი მიმართულებებია: გაზომვათა ზოგადი თეორია, ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულებისა და მათი სისტემების წარმოქმნა, გაზომვის მეთოდები და საშუალებები, გაზომვის ცდომილებათა თეორია, გაზომვების ერთგვაროვნების საფუძვლები (საკანონმდებლო მ.), ერთეულთა ზომების გადაცემის მეთოდები *ეტალონიდან* გაზომვის სანიმუშო და შემდეგ მუშა საშუალებებზე. თავდაპირველად მ-ის დანიშნულება იყო სხვადასხვა სახის საზომთა (სიგრძის, ტევადობის, მასის, დროის), აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული მონეტებისა და მ. შ. თანაფარდობის აღწერა (იხ. *მეტროლოგია ისტორიული*).

თბილისში 1946–77 ფუნქციონირებდა დ. მენდელეევის სახ. მეტროლოგიის საშუალებათა ავტომატიზაციის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფილიალი, შემდეგ – ამ ინ-ტის ბაზაზე შექმნილი სპეც. საკონსტრუქტორო ბიურო, საცდელი ქ-ნა „აქატი“ და კლიმატური გამოცდის კოლხეთის სამეცნ.-კვლ. ცენტრი. 1981 შეიქმნა სამეცნ. გაერთიანება „ისარი“, რ-თანაც გაერთიანდა აღნიშნული სტრუქტურები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩატარებული რეფორმების შედეგად შეიქმნა [მეტროლოგიის ინსტიტუტი](#).
